

**ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი N 24**

ხაშური

2018 წლის 21 ნოემბერი

12-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ნატო კიკაძე, ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ნოვე ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარი სპეციალისტი
მურმან ცენგერაშვილი, თეა ჯაფარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-მარინე გელაშვილი
(მომხსენებელი საკითხზე)

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 5 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი) –

1.ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის თაობაზე.
მომხს.მ.გელაშვილი

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ.გელაშვილის ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე.

ასევე მ.გელაშვილმა გააკეთა განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ამა თუ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტს ბიუჯეტი შეძლებისდაგვარად დააფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტის პროექტის შედგენამდე, მერიას წარედგინება სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.


აზრი გამოთქვეს: ი.მეტრეველმა, ნ.ტაბატაძემ, ა.ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: დაევალოს კომისიის თავმჯდომარეს ქ-ონ ანა ხარებავას, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და კონკრეტულ მოსაზრებების გათვალისწინებით, საკრებულოს აპარატში წარადგინოს წინადადებები ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე



ანა ხარებავა